# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა # 22/05/24-01

ქ. თბილისი 24 მაისი, 2022 წ.

ერთის მხრივ **სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“,** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დავით თვალაბეიშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ **შპს „სტატიო“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ დუდაურის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვმოქმედებთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონისა და შესყიდვების სააგენტოს 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის” მე-2 მუხლის „ა” ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი**

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 1.2. პუნქტში აღნიშნული პირადი ჰიგიენური საშუალებების შესყიდვა.

1.2. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს პირადი ჰიგიენის საშუალებები, კერძოდ: ტუალეტის ქაღალდი **(CPV 33761000)**, ქაღალდის ხელსახოცები (**CPV 33764000)**.

**2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეადგენს დღგ-ს გათვალისწინებით არა უმეტეს **3948.00 (სამიათასცხრაასორმოცდარვა) ლარს** (დღგ-ს გარეშე - 3345.76 ლარი)., მათ შორის: ტუალეტის ქაღალდი 420 ცალი - 1008.00 ლარი (1 ცალი - 2.40 ლარი), ხელსახოცი რულონი 420 ცალი - 2940 ლარი (1 ცალი - 7.0 ლარი).

**3. შესყიდვის ობიეტის ხარისხი და გარანტია**

3.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება მაღალი ხარისხის.

**4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი**

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საერთო ვადა განისაზღვრება 2022 წლის 24 მაისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, მე–5 სართული.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტი დადასტურდება „შემსყიდველის“ მხრიდან ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ბორის გაბიძაშვილის მიერ, ხოლო „მიმწოდებლის“ მხრიდან უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

**6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)**

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

**7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

7.1. „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.2. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.4.1. უხარისხო საქონლის მიწოდების შემთხვევაში, შეცვალოს იგი იგივე სახის და ფასის ხარისხიანი საქონლით, შეტყობინებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

7.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

**8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 მხარეები უფლებამოსილნი არიან, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, მთლიანად ან ნაწილობრივ, ცალმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.6 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

**9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 24 მაისიდან 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

**10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს კომპანიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ბორის გაბიძაშვილი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| „შემსყიდველი“<br>სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ | „მიმწოდებელი“<br>შპს „სტატიო“ |
| ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. #2<br>ტელ. 240-14-20<br>სს „თიბისი ბანკის“ ვერის ფილიალი<br>ბანკის კოდი TBCBGE22<br>ა/ა GE76TB7505936030100001<br>საიდენტიფიკაციო კოდი 205170036 | ფაქტ. მის: საქართველო, ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზ.,№70 კორ.1 ბ.<br>იურ. მის: ქ. თბილისი, იან ჰომერის ქ. 5ა<br>ტელ. 577-77-89-33<br>სს „თიბისი ბანკი“–ს მარჯანიშვილის ფ–ლი<br>ბანკის კოდი TBCBGE22<br>ა/ა GE55TB7394 7360 2010 0001<br>საიდენტიფიკაციო კოდი 400005533 |
| გენერალური დირექტორი<br>Electricity System Commercial Operator JSC<br>Digitally signed by Electricity System Commercial Operator JSC<br>DN: cn=Electricity System Commercial Operator JSC, 2.5.4.97=NTRGE-205170036, o=Electricity System Commercial Operator JSC, c=GE<br>Date: 2022.05.24 14:10:25 +04'00'<br>დავით თვალაბეიშვილი | დირექტორი<br>Teimuraz Dudauri<br>Digitally signed by Teimuraz Dudauri<br>DN: cn=Teimuraz Dudauri, serialNumber=PNOGE-01019010315, givenName=Teimuraz, sn=Dudauri, o=Citizen, c=GE<br>Date: 2022.05.24 13:26:23 +04'00'<br>თეიმურაზ დუდაური |